ხელშეკრულება № 27/05/3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 მაისი 2014 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში (CPV 30192400)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის თამარ ჟვანიას სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს ,,ესაბი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბაქანიძის სახით შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მრავალფუნქციური ასლგადამღები აპარატების ტონერებისა და სათადარიგო ნაწილების მიწოდებას შემდგომში "საქონელი", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების (მათ შორის დღგ) ჩათვლით, შეადგენს 35 935 (ოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ერთეულის ფასები მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს მიწოდებული საქონლის ხარისხის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობა.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მათ;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი. ასლგადამღები აპარატის Xerox D110 - ის სახარჯი მასალების ინსპექტირებას განახორციელებს მ. მიქიაშვილი, ხოლო ასლგადამღები აპარატის Xerox WorkCentre 3220 Dn კარტრიჯების ინსპექტირებას ვ. კვატაშიძე.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც [illegible] იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ივლისამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შპს "ესაბი"**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 37 დ
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	საიდენტიფიკაციო კოდი: 204378173
ტელ: (995 32) 2510051	ტელ: 2252900
სახელმწიფო ხაზინა	სს „ პროკრედიტ ბანკი"
ანგ №200122900; კოდი: 220101222	კოდი: MIBGGE22 ა/ა GE30PC0053600100013098
თამარ ჟვანია	**გიორგი ბაქანიძე**
თავმჯდომარე	**დირექტორი**

დანართი

N	ასლგადამღები აპარატის დასახელება	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8
1	Xerox D110	Toner Cartridge	40	152.00	6,080.00	2014 წლის 10 ივნისის ჩათვლით	დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
		Waste Toner Bottle	14	173.00	2,422.00		
		Drum Cartridge	6	560.00	3,360.00		
		Staple box 100 sheet refills	3	293.00	879.00		
		Booklet Stapler Cartridge	3	368.00	1,104.00		
		Fuser Cleaning Cartridge	8	391.00	3,128.00		
		Belt cleaner Blade	8	55.00	440.00		
		Belt Cleaner Brush	8	227.00	1,816.00		
		Roll Kit	8	41.00	328.00		
		Drum In Filter	8	16.00	128.00		
		Suction Ozone Filter	2	227.00	454.00		
		Take Away Roll 2	1	103.00	103.00		
		Developer Housing	1	750.00	750.00		
		Black Developer	1	132.00	132.00		
		BTR	4	57.00	228.00		
		Transfer Belt	4	218.00	872.00		
		Take Away Roll	2	160.00	320.00		
		Tray 1-4 Feeder	3	550.00	1,650.00		
		HCF Retard Feeder Nudger Roll Kit	8	60.00	480.00		
		Pressure Roll Finger	2	367.00	734.00		
		Pressure Roll	2	540.00	1,080.00		
		Fuser Heat Kit	2	723.00	1,446.00		
		Heat Roll Finger	13	10.00	130.00		
		Control 1 Thermistor	1	75.00	75.00		
		Control 2 Thermistor	1	75.00	75.00		
		Overheat Thermistor	1	75.00	75.00		
		Pre Registration Roll Chute	1	150.00	150.00		
		Registration Roll	2	48.00	96.00		
2	Xerox WorkCentre 3220 DN	Toner Cartridge	40	185.00	7,400.00		

შემსყიდველი

ცენტრალური საარჩევნო კომისია

თამარ ჭანტურია

მაკომბინირებელი

203851609

მიმწოდებელი

შპს "ესაბი"

გიორგი ბაქანიძე

დირექტორი

204378173